პაპის დიქტატი

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

საერო ხელისუფლებაზე სასულიერო ხელისუფლების უზენაესობის იდეა ეკუთვნის პაპს - გრიგოლ VII-ს (1073-1085). თავის ცნობილ ტრაქტატში - „პაპის დიქტატი“, მან ხაზი გაუსვა პაპის ძალაუფლების პრიმატს საერო ხელისუფლებაზე და მოითხოვა პაპის განუსჯელობა საერო ხელისუფალთა მიერ. მხოლოდ პაპს შეეძლო ეწყალობა იმპერატორთათვის ღირსების ნიშნები, დაედგა გვირგვინი ან გადაეყენებინა, ასევე განეკვეთა ეკლესიისგან და გაეთავისუფლებინა ფიცისგან. გრიგოლ VII წერდა: „რომის ეკლესია ერთარსი ღმერთის მიერაა შექმნილი. მხოლოდ რომის ეპისკოპოსი იწოდება მსოფლიო ეპისკოპოსად; მხოლოდ მას, ერთადერთს აქვს უფლება გადააყენოს და აღადგინოს ეპისკოპოსები; საეკლესიო კრებებზე პაპის ლეგატი[1] იკავებს პირველ ადგილს ყველა ეპისკოპოსთა შორის, თუნდაც დაბალ სასულიერო ხარისხს ფლობდეს. ლეგატს შეუძლია მათ გადაყენებაზე გადაწყვეტილების მიღება“. მხოლოდ რომის პაპს აქვს უფლება, საჭიროებიდან გამომდინარე, გამოაქვეყნოს ახალი წესდებები, დააარსოს ახალი ეპარქიები, ჩვეულებრივი სამლოცველოები გარდაქმნას საბატოებად და პირიქით, მდიდარი ეპარქიები დაშალოს, ხოლო ღარიბები გააერთიანოს; მხოლოდ მას, ერთს, აქვს უფლება, განკარგოს საიმპერატორო რეგალიები; მხოლოდ პაპს უკოცნის ფეხებს ყველა მთავარი; ის ერთადერთია, ვინც მსოფლიოში პაპის სახელით იწოდება; მხოლოდ მას მოიხსენიებენ ეკლესიებში. პაპს იმპერატორის გადაყენებაც შეუძლია.

საჭიროებიდან გამომდინარე, მას შეუძლია ეპისკოპოსების ერთი კათედრიდან სხვა კათედრაზე ჩანაცვლება; სასულიერო პირების დანიშვნა ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ეკლესიაში. რომელიმე ეკლესიაში, პაპის მიერ გამწესებული სამღვდელო პირი არ შეიძლება ექვემდებარებოდეს ადგილობრივ ეპისკოპოსს. მის გარეშე, არცერთი საეკლესიო კრება არ შეიძლება იწოდებოდეს მსოფლიო კრებად. პაპის სანქციის გარეშე, არცერთი დადგენილება ან წიგნი არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიკურად. მისი გადაწყვეტილების გაუქმების უფლება არავის აქვს. ვერავინ იქნება პაპის მსაჯული. ნებისმიერი ეკლესიის ნებისმიერი საქმე მისი კონტროლის ქვეშ უნდა წარიმართოს. რომის ეკლესია არასოდეს შემცდარა და მომავალშიც, როგორც ამას სახარება გვეუბნება, არ შეცდება. კანონიერად არჩეული რომის ეპისკოპოსი, პეტრე მოციქულის დამსახურების გამო, აუცილებლად ხდება წმინდანი. ვერავინ ჩაითვლება კათოლიკედ, თუ ის არ ეთანხმება რომის ეკლესიას.

პაპთან აუდიენციის ცერემონიალი

რომის პაპების მიერ მნახველთა მიღების წესი დაამტკიცეს ლატერანის I საეკლესიო კრებაზე 1123 წელს. ყველა მოკვდავი, განსაკუთრებით ქრისტიანები, მიუხედავად მათი რანგისა და მდგომარეობისა, ვალდებულნი არიან, სამჯერ მოიდრიკონ მუხლი პაპის წინაშე და ეამბორონ ფეხებზე მაცხოვრის - იესო ქრისტეს საპატივცემულოდ, რომლის წარმომადგენელსაც დედამიწაზე განასახიერებს რომის ეპისკოპოსი.

იმპერატორებს, მეფეებსა და უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებს უფლება აქვთ, ჯერ ხელზე, ხოლო შემდეგ სახეზე ეამბორონ პაპს, ხოლო დანარჩენებს მხოლოდ ფეხებზე.

[1] ლეგატი - რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი

კარდინალები ეამბორებიან რომის პაპის მარჯვენა ხელს, ეპისკოპოსები - მხოლოდ მუხლს, იმპერატორები და უმაღლესი საერო თანამდებობის პირები ხელებს და ფეხებს.

შეკითხვები:

1. როგორ ასახავს გრიგოლ VII-ის „პაპის დიქტატი“ რომის ეპისკოპოსის ძალაუფლების ზრდას შუა საუკუნეებში? დაასახელეთ სამი დებულება ტექსტიდან, რომელიც ამ მოვლენას ასახავს.
2. წყაროს მიხედვით, დაასახელეთ ის დებულებები, რომლებიც სასულიერო საკითხებში რომის ეკლესიის შეუცდომლობასა და მის აბსოლუტურ ავტორიტეტზე მიუთითებენ?
3. რა მნიშვნელობა ჰქონდა შემდეგ იდეას: „კანონიერად არჩეული რომის ეპისკოპოსი, პეტრე მოციქულის დამსახურების გამო, აუცილებლად ხდება წმინდანი“?
4. რას წარმოადგენდა პაპის ლეგატის ფუნქცია და რატომ ენიჭებოდა მას ასეთი დიდი უფლებამოსილება?
5. როგორ უსვამს ხაზს პაპთან აუდიენციის ცერემონიალი მის უზენაესობასა და საერო პირების დაქვემდებარებულ მდგომარეობას? გააანალიზეთ განსხვავებები სხვადასხვა რანგის პირების მოქცევის წესებში.
6. თქვენი აზრით, რა ისტორიული რეალობა უძღოდა წინ „პაპის დიქტატის“ შექმნას და რა მიზანს ემსახურებოდა ეს დოკუმენტი?
7. თქვენი აზრით, რა გავლენას მოახდენდა „პაპის დიქტატი“ ევროპულ პოლიტიკაზე?
8. როგორია კათოლიკური ეკლესიისა და რომის პაპის როლი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დღეს. შეადარეთ ერთმანეთს შუა საუკუნეებისა და თანამედროვეობის კათოლიკური ეკლესია.

დავალება:

შესაძლებელია მასწავლებელმა მოსწავლეებს დაავალოს, ჩამოაყალიბონ შეკითხვები, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს, გრიგოლ VII „პაპის დიქტატსა“ და ფილიპ დე ბომანუარის „ბოვეზის კუტიუმები“ ერთმანეთს შეადარონ.

ასევე შესაძლებელია, ვენის დიაგრამის მეშვეობით მოსწავლეებმა ერთმანეთს შეადარონ რომის პაპისა და საფრანგეთის მეფის უფლება-მოვალეობები.